Revaz Mishveladze
Professor,
Georgian Technical University

Culturological Inquiry

(Abstract)

KEYWORDS: Literature, Politics, *The Knight in the Panther's Skin*, Art, Cinema, Illiteracy, Books, Reader, Culture, Culturology

Over the millennia, leaps in thought guided the development from the cavemen to the Egyptian pyramids, the Sphinx and the Parthenon. Verbal art, however, advanced so far that it bequeathed humanity enduring wonders: *Gilgamesh*, the *Mahabharata*, the *Iliad* and the *Odyssey*, *The Knight in the Panther's Skin*, *The Divine Comedy*, the works of Shakespeare, Byron, Goethe, Hugo, Schiller, Galaktion, and other brilliant minds.

Alongside literature, other branches of art also developed with no less success. Yet, if we exclude the Renaissance, verbal culture – especially over the last three centuries – has arguably outstripped all other arts. Of course, it is conditional to speak of the dominance of any single cultural branch in particular eras, since all forms of art have, for millennia, performed the difficult task of ennobling the human soul.

Generations paid for this with their lives. It was not easy for a person blessed by God and endowed with talent from birth to find a place in society, because those who partook of immortality never traded the soul sacrificed to art for anything.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Centuries passed under the insatiable desire of architects to approach the sky by ascending the pyramids; Michelangelo's agonised prayer comes to mind as he knelt before the statue of the prophet: "Moses, arise, speak to me!" (*Parla! Visto che parli!*)

Then, in the last century, the procession of art – solemn, inevitable, and, for everyone, almost unexpectedly – came to a halt. What is happening in 21st-century Georgia, where *The Knight in the Panther's Skin* was written in the 12th century? We live in an age of total illiteracy. During the Soviet regime, sociological surveys were conducted on literacy. According to those surveys, Rustaveli's homeland – the Republic of Georgia, with its 5 million population, was the most literate country within the Soviet Empire of two hundred million people. Now, as an independent, free, and developing country, Georgia ranks last in Europe in book-purchasing rates. Today, a book is no longer the most prestigious gift in Georgia.

I was a novice novelist when Konstantine Lortkipanidze – director of the Nakaduli Publishing House at the time – published 50,000 copies of my first book. At that time, this was the average print run for prose. Today, the circulation of a prose publication rarely exceeds 200–300 copies, and a poetry collection, whoever the author may be, is usually printed in no more than 100. Even books produced in such meagre numbers have lain on shop shelves for years. In practice, both the reader and the reader's ethical obligations have been lost.

What happened? Why did twenty-first-century Georgian culture grow indifferent? Why did it so abruptly turn its back on book presentations, exhibition halls, theatres and music halls?

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Since there is no coherent social order and the reader's interest has been lost, this has inevitably led to the devaluation of taste. True, high-level literature is now almost never produced, and a green light has been granted to graphomaniacs. Professional critics have decided that this is no longer their season. Could it be that the reader's total disillusionment with culture is a specifically Georgian phenomenon, while the rest of the world continues to serve artistic thought with traditional devotion?

Since the second half of the twentieth century, citizens across the world have silently abandoned the beau monde that, for millennia, trained, refined, and ennobled their souls. Publishing houses are disappearing one after another across Europe. Literary magazines and newspapers have been discontinued in London, Leipzig, Amsterdam, Rome, and elsewhere. Scientific journals at universities can barely sustain themselves – often only in economic terms.

Other branches of art are not faring better. The Italian film studio that once produced up to two hundred films a year now makes only 25. Thanks to private funding, film studios in Paris and London continue to operate. The Georgian Film Studio used to produce 41 feature films per year; today it produces only two, and even those are made, in part, with private funding.

The relentless enemy of Georgian culture – Mikheil Saakashvili – after storming the Georgian Parliament with the help of the Russian Federation and the United States and seizing power by criminal means in November 2003, launched a furious assault on Georgian cultural values.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

First, he attacked the Georgian Film Studio. He dismissed its director, the famous and respected Rezo Chkheidze, and cut off funding for the studio.

He then proposed transferring all Georgian theatres to a self-financing economic model, while allowing only the Rustaveli and Marjanishvili theatres to keep reduced state funding – enough for two plays to be staged per year.

Soon he attacked the Georgian Writers' Union. He abolished all publishing houses and all literary magazines (*Mnatobi*, *Tsiskari*, *Kritika*, *Saunje*, and others), closed the newspaper *Literaturuli Sakartvelo* and the magazine *Chveni Mtserloba*, and removed the 50-GEL scholarship from all members of the Georgian Writers' Union, thereby condemning them to predictable starvation. As if that were not enough, at midnight on 21 August 2007, a special forces unit stormed the Writers' Palace (13 Machabli St.). They threw the most valuable memorial artefacts into the street and seized the rich building of David Sarajishvili, PhD, and Akaki Khoshtaria, one that Georgian writers had inherited in 1921 on legal grounds.

The Writers' Palace, where the Georgian Writers' Union had worked for a century, from which the national, authoritative word of the writer used to spread across Georgia, where we would bid farewell to our brilliant Georgian poets and writers, such as Galaktion Tabidze, Konstantine Gamsakhurdia, George Leonidze, Irakli Abashidze, Joseph Noneshvili, and others, was illegally taken away from living Georgian writers by the Saakashvili administration.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

The scientific and technical revolution has altered people's way of life. The world has accelerated so much that, if you fail to keep pace, you are quickly excluded from everyday existence. You become captive to the ocean of information and have almost no time left in which to immerse yourself in the verbal nirvana of the classics. The luxury enjoyed by our grandfathers – curling up beside the ancestral hearth with a book, a magazine or a newspaper in hand – is far from the reality of modern life.

In this raging ocean of information, which I have described as assaulting human life, one of the lifelines will undoubtedly be played by a science called culturology. It scrupulously gathers the centuries-old achievements of world culture and will provide the modern, confused, and exhausted citizen with comprehensive means of preserving, in essence, the good beginnings still within. I believe that we will meet again, dear reader – not in a field hospital, but in stadiums filled with spectators, in concert halls, at the launch of a new book, a new play or a new film. Then I will once again be a Georgian writer active for the social good, working within the Georgian Writers' Palace – not a former MP who failed to achieve any useful changes while serving within the walls of the Parliament of Georgia. Such is the logic of life.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რევაზ მიშველაძე
პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კულტუროლოგიური ზიაღსვლები

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურა, პოლიტიკა, ვეფხისტყაოსანი, ხელოვნება, კინო, უწიგნურობა, წიგნები, მკითხველი, კულტურა, კულტუროლოგია

არავინ იცის კაცობრიობის განვითარების რომელ საფეხურზე გაუჩნდა ადამიანს მხატვრული აზროვნების უნარი. ამან დაბადა შემდგომში პირველი ნახატები გამოქვაბულთა კედლებზე, პირველი პრიმიტიული სასიმღერო ჰანგები და პირველი როკვა-ცეკვების რიტმსაყოლებული ლექსები. ათასწლეულებში მხატვრული აზროვნება წარმართავდა გამოქვაბულის ადამიანის ზრდას ეგვიპტის პირამიდებამდე, სფინქსამდე, პართენონის ტაძრამდე თუ ეიფელის კოშკამდე.

სიტყვიერი ხელოვნება ისე განვითარდა, რომ სასწაულები დაუტოვა კაცობრიობას „გილგამეშიანის“, „მაჰაბჰარატას“, „ილიადა“ და „ოდისეას“, „ვეფხისტყაოსნის“, „ღვთაებრივი კომედიის“, შექსპირის, ბაირონის, გოეთეს, ჰიუგოს, ტოლსტოის, შილერის, ვაჟას, გალაკტიონისა და სხვა გენიალურ მოაზროვნეთა შემოქმედების სახით.

ლიტერატურის მხარდამხარ ხელოვნების სხვა დარგებიც არანაკლები წარმატებით ვითარდებოდა, მაგრამ, აღორძინების ეპოქას თუ გამოვაკლებთ (მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, ბოტიჩელი...), სიტყვიერმა კულტურამ, განსაკუთრებით, ბოლო სამ საუკუნეში, ყოველგვარ ხელოვნებას გაუსწრო. რასაკვირველია, პირობითია სხვადასხვა ეპოქაში კულტურის რომელიმე დარგის დომინან-

BRAMS 2025 Aug
Volume 6, Issue 14
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ტობაზე ლაპარაკი, რაკიღა ხელოვნების ყველა დარგი ათასწლეულთა განმავლობაში მუხლჩაუხრელად აკეთებდა ადამიანის სულის გაკეთილშობილების ურთულეს საქმეს. ამას ეწირებოდა თაობათა სიცოცხლე. იოლი როდი იყო, ღვთივკურთხეული, დაბადებიდანვე ნიჭით დაჯილდოებული კაცისთვის საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება, რადგან ხელოვნებისთვის შეწირულ სულს უკვდავებასთან ზიარებულნი არასოდეს არაფერში ცვლიდნენ.

ვიდოდნენ საუკუნენი პირამიდებზე ამაღლებულ ხუროთმოძღვართა ცასთან მიახლების დაუოკებელი სურვილით და წინასწარმეტყველის ქანდაკების წინ ჩამუხლული მიქელანჯელოს ამონაკვნესით: „მოსე, წამოდექ, დამელაპარაკე“ (Parla! Visto che parli!).[1]

და უეცრად, გასულ საუკუნეში ხელოვნების პარადული, საზეიმო სვლა, ყველასათვის სრულიად მოულოდნელად, ლამის ერთბაშად შეწყდა. ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, თუ მკითხველი ზურგს შეაქცევდა იმას, ვისაც სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ ესოდენი სინაზით ეუბნებოდა: „თქვენ ისეთი კარგი ხართ, თქვენ პოეტი ბრძანდებით“.[2] ვერავინ წარმოიდგენდა, თუ კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმისკენ მიმავალ ბილიკზე ბალახი ამოვიდოდა.

რა ხდება დღეს იმ საქართველოში, სადაც „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა? ტოტალური უწიგნურობის ეპოქაში ვცხოვრობთ.

საბჭოთა იმპერიაში სოციოლოგიური გამოკითხვები ტარდებოდა წიგნიერების მიმართულებით. ერთ-ერთი გამოკითხვის შედეგით, ერთ სულ მოსახლეზე წიგნების შეძენის მაჩვენებლით საქართველო საბჭოთა რესპუბლიკებს შორის პირველ ადგილზე იყო.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რუსთაველის ქვეყანა ორასმილიონიან სსრკ-ში ყველაზე წიგნიერი ქვეყანა გახლდათ; ახლა კი დამოუკიდებელი, თავისუფალი და აყვავებული (როგორც პოლიტიკოსები გვარწმუნებენ) სახელმწიფო საქართველო წიგნის შეძენის მაჩვენებლით ევროპაში ბოლო ადგილზეა.

რა თქმა უნდა, არამართებულია ამ სავალალო მოვლენის ახსნა მხოლოდ მძიმე ეკონომიკური ვითარებით. საბჭოთა საქართველოს მოქალაქეს 50 წლის წინათ ნაკლებად არ უჭირდა მატერიალურად, მაგრამ ახალი, საინტერესო წიგნის შეძენა ღირსების საქმედ მიაჩნდა. დღეს ყველაზე არაპრესტიჟული საჩუქარი წიგნია...

დამწყები ნოველისტი ვიყავი, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ (გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი იმ პერიოდში) ჩემი პირველი წიგნი 50 ათასიანი ტირაჟით რომ გამოსცა. მაშინ ეს პროზის საშუალო ტირაჟი იყო. ახლა პროზის ტირაჟი 200-300 ცალს არ აღემატება, ხოლო ლექსების კრებული (ვინც უნდა იყოს ავტორი) სტანდარტულად ასია. ასეთი მიზერული ტირაჟით გამოცემული წიგნებიც კი წლობით დევს მაღაზიათა თაროებზე.

ავტორები თავს ვიტყუებთ. 200-იანი ტირაჟით გამოსული წიგნი იმას ნიშნავს, რომ ასეთი წიგნი საერთოდ არ გამოცემულა. გაყიდვაზე და ფინანსურ შემოსავალზე რომ არაფერი ვთქვათ, ავტორს იგი უახლოესი ნაცნობ-მეგობრების სასაჩუქრედაც არ ჰყოფნის.

დაიკარგა მკითხველიც და მკითხველის ეთიკური მოვალეობაც.

რა მოხდა? რატომ გაუგულგრილდა XXI სუკუნის მოქალაქე კულტურას? რატომ შეაქცია მან ერთბაშად ზურგი მხატვრულ ლიტერატურას, საგამოფენო დარბაზებს, თეატრებს, მუსიკალურ სალონებს?

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რაკიღა სოციალური დაკვეთა არ არსებობს, რაკი მკითხველის ინტერესი დაიკარგა, ამ გარემოებამ გემოვნების დევალვაცია გამოიწვია. ჭეშმრიტი, მაღალი დონის ლიტერატურა, თითქმის, აღარ იქმნება და მწვანე შუქი აინთეს გრაფომანებმა.[3] პროფესიონალმა კრიტიკოსებმა მიიჩნიეს, რომ ახლა მათი დრო არ არის.

კულტურისადმი მკითხველის სრული გაგულგრილება, იქნებ, მხოლოდ და მხოლოდ ქართული მოვლენაა და დანარჩენი მსოფლიო მხატვრული აზროვნებისადმი ტრადიციული ერთგულებით ცხოვრობს? სამწუხაროდ, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოქალაქენი ლამის მთელ მსოფლიოში უხმოდ გაეცალნენ იმ ბომონს, რომელც ათასწლეულთა განმავლობაში მათ სულს სასიკეთოდ წვრთნიდა.

ჩამოთავდა ბეჭდვა გახმაურებული ლიტერატურული ჟურნალებისა და, თითქოს, დაიხურა საუკუნის დიდი წიგნი. ევროპაში ერთიმეორის მიყოლებით ქრება ასპარეზიდან გამომცემლობები. გაკოტრებულად გამოაცხადა თავი პარიზის მხატვრული ლიტერატურის ყველზე დიდმა გამომცემლობამაც კი. გაუქმდა ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები ლონდონში, ლაიფციგში, ამსტერდამში, რომში... ძლივს ფეთქავენ (ისიც, სამეურნეო ანგარიშზე) უნივერსიტეტებთან არსებული სამეცნიერო ჟურნალები.

იქნებ ხელოვნების სხვა დარგებია უკეთეს დღეში?

იტალიის კინოსტუდია, რომელიც წელიწადში 200-მდე ფილმს იღებდა, ახლა მხოლოდ 25-ს იღებს. კერძო საწყისებზე მუშაობენ პარიზისა და ლონდონის კინოსტუდიები. საქართველოს კინოსტუდია წელიწადში 41 ფილმს იღებდა, ახლა კი მხოლოდ ორს იღებს, ისიც, სანახევროდ კერძო პირთა დაფინანსებით. საქართველოში 2004 წლამდე 2 ათას 300 კინოთეატრი იყო, ახლა მხოლოდ შვიდი ფუნქციონირებს საქართველოს სამ ქალაქში.[4]

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

1984 წელს იაპონიაში ყოფნის სამი კვირის განმავლობაში გამომცემელმა კომამამ ჩემი ნოველების წიგნი (აქედან რუსული პწკარედი ჩავიტანე) კიდეც თარგმნა და კიდეც გამოსცა. სასტუმროში იაპონურ წიგნთან ერთად ჰონორარიც რომ მომართვა, გაოცებისა და მადლობის ნიშნად ქართული რაინდობა-სიდარბაისლით ჰონორარზე უარი მოვახსენე: ეს ფული გამოცემის ხარჯებს მოახმარეთ-მეთქი. ეტყობა, იფიქრა, ჰონორარი (კონვერტს 1000 დოლარი ეწერა) ეცოტავაო და მომიბოდიშა: ჩვენი გამომცემლობა პატარაა და გვაპატიეთ, რომ ასე მცირე თანხას გიხდითო. რაც შეეხება გამოცემის ხარჯებს, ჩემი ჯიბიდან დავფარავო. მერე მიიხედ-მოიხედა და საიდუმლოდ მითხრა: გაკოტრების პირას ვართ; 12-მილიონიან ქალაქ ტოკიოში წიგნები სრულებით არ იყიდებაო. არ გამცეთ თბილისში და, ოთხი წლის წინათ რომ „ვეფხისტყაოსანი“ გამოვეცი, საწყობში ხელუხლებლად მიდევს; დღემდე მხოლოდ ხუთი ცალი გაიყიდა. როგორც ვიცი, ევროპაშიც ასეა, მხოლოდ დოკუმენტური პროზა და მემუარები იყიდება. შარშან გაკოტრებას სვეტლანა ალილუევას წიგნმა გადაგვარჩინა. ალბათ გახსოვთ, „წერილები მეგობარს“ ჰქვია; რატომღაც სტალინზე ყველაფერი აინტერესებთ. თქვენი ნოველები ურიგო არ არის, მაგრამ, კომერციული თვალსაზრისით, გამომცემლობისთვის წამგებიანია. ასე რომ, ეს წიგნი თქვენდამი მოძღვნილ სამეგობრო საჩუქრად ჩათვალეთო.

ჩვენ ეროვნულ დონეზე სხვაგვარი პრობლემებიც გვემატება. ქართული ფენომენის დაუძინებელმა მტერმა, მიხეილ სააკაშვილმა, იმის შემდეგ, რაც რუსეთისა და აშშ-ის დახმარებით იერიშით აიღო საქართველოს პარლამენტი და დანაშაულებრივი გზით ხელთ იგდო ძალაუფლება, გაშმაგებით შეუტია ქართულ კულტურულ ფასეულობებს.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ჯერ კინოსტუდიაზე მიიტანა იერიში. მისი დირექ-ტორი, სახელოვანი და ღვაწლმოსილი რეზო ჩხეიძე მოხ-სნა და კინოსტუდიას დაფინანსება შეუწყვიტა.

მერე საქართველოს ყველა თეატრს სამეურნეო ან-გარიშზე გადასვლის წინადადება მისცა; მხოლოდ რუს-თაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებს უწილადა იმდენი თანხა, წელიწადში მხოლოდ ორი სპექტაკლიის დადგმის საშუალებას რომ იძლეოდა.

მალე მწერალთა კავშირს მისდგა. გააუქმა ყველა გამომცემლობა, ყველა ლიტერატურული ჟურნალი („მნა-თობი“, „ცისკარი“, „კრიტიკა“, „საუნჯე“...), დახურა გაზე-თი „ლიტერატურული საქართველო“, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 50-ლარიანი სტიპენდია მოუხსნა მწერალთა კავშირის ყველა წევრს, რითაც ისინი აშკარა შიმშილის-თვის გაწირა. ესეც არ იკმარა; 2007 წლის 21 აგვისტოს, შუადამისას ზონდერბრიგადა შეუსია მწერალთა სასახ-ლეს[5] (მაჩაბლის ქ. 13). ქუჩაში გადმოყარეს უძვირფასესი მემორიალური ნივთები და 1921 წლიდან ქართველი მწერ-ლებისთვის ლეგალურად და ოფიციალურად გადაცემუ-ლი, დავით სარაჯიშვილისა და აკაკი ხოშტარიას მიერ ნაანდერძევი შენობა ოკუპირებულჰყვეს.

მწერალთა სასახლე, სადაც მწერალთა კავშირი 100 წლის განმავლობაში მუშაობდა, საიდანაც საქართველოს მოეფინებოდა მწერლის ეროვნული, ავტორიტეტული სი-ტყვა, საიდანაც გამოვასვენეთ გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, დემნა შენგელაია და სხვანი, მწერლებს ყა-ჩაღურად წაართვა მიხეილ სააკაშვილმა.

მაოხრებელი მმართველები მსოფლიოს არაერთი ჰყავდა სხვადასხვა ეპოქაში. მათი ნამუდრეგალი დროთა განმავლობაში ახლებურ ლათარგზე სწორდებოდა, მა-

BRAMS 2025 Aug
Volume 6, Issue 14
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გრამ უბედურება ის იყო, რომ თავნება დესპოტებს უდანაშაულო ხელოვანთა სიცოცხლე ხშირად ეწირებოდა.

იმ თავსატეხის ახსნა ვცადე, რაც მსოფლიო მოვლენაა და რასაც ლამის მოურჩენელი სენი – კულტუროფობია ანუ ადამიანთა მიერ კულტურის სრულიად მოულოდნელი, მრისხნე უარყოფა ჰქვია.

მსოფლიო დიდხანს იყო ერთსახოვანი. ფეოდალურმა წყობამ[6] პიროვნებათა და სახელმწიფოთა შორის მდგრადი ურთიერთობა ჩამოაყალიბა.[7] იცოდი, ვინ იყავი და რა გევალებოდა; ვის უნდა დამორჩილებოდი და, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, რა გელოდა. იყო ფეოდალური დაპყრობითი ომები, მაგრამ მსოფლიოს გარდამქმნელი მოვლენები ასე ახლო-ახლოს არასოდეს ყოფილა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიო აიმღვრა. სახელმწიფოთა ურთიერთობის მყარი კოდექსები მოიშალა. დაიწყო ეპოქალური პერიპეტიები. გარეშე თავდასხმებმა ნაწილობრივ ადგილი დაუთმეს შიდა დაპირისპირებებს, გაფიცვებს, რევოლუციებს. თითქოსდა, ადამიანის არსებაში საუკუნეთა განმავლობაში მთვლემარე პროტესტის გრძნობამ გაიღვიძა.

მსოფლიო ომებმა და მასთან დაკავშირებულმა ტრაგედიებმა ცალკეული პიროვნების კი არა, საზოგადოდ, ერის ფსიქიკის გარდაქმნა გამოიწვია.[8] ვნებები გაშიშვლდა. მაღალი მატერიებისა და რომანტიკის ადგილი ყოველდღიურმა პრაქტიციზმმა დაიკავა. მსოფლიო შიმშილმა ლუკმაპურის მოპოვების საჭიროება სხვა გრძნობებზე მაღლა დააყენა.

ადამიანის ფსიქიკის შეცვლას ხელი შეუწყო მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ. უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ეს რევოლუცია ზიგზაგებიანი გზითა და განსაცვიფრებელი ნახტომებით ხორციელდე-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ბოდა. თანაც პარადოქსულად იცვლებოდა მოვლენები. ადამიანმა გულის გადანერგვა შეძლო, მაგრამ მედიცინა უძლურია ელემენტარული გრიპის, თუ გნებავთ – სურდოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ადამიანმა მთვარეზე დაადგა ფეხი, მაგრამ სტიქიურ მოვლენებს ვერაფერს უერხებს დედამიწაზე.

მთვარის დაპყრობამ პატარა როლი როდი შეასრულა იმაში, რომ ადამიანი რომანტიკისა და ოცნების სამყაროს დაშორებოდა. „ჩემს არსებაში ლექსის ადგილი აღარ დარჩა," – თქვა ამერიკელმა პოეტმა მაიკლ რიჩარდსონმა. – „რა ლექსი უნდა დავწერო იმის შემდეგ, რაც შევიტყვე, რომ მთვარე სქელი მტვრით დაფარული უსიცოცხლო გრუნტია და სხვა არაფერი". მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ადამიანთა ცხოვრების წესი შეცვალა. ისე აჩქარდა მსოფლიო, რომ თუ ფეხი არ აუწყვე, ყოველდღიურობის მიღმა აღმოჩნდები. ზღვად მოვარდნილი ინფორმციის ტყვეობაში ხარ[9] და დრო თითქმის აღარ გრჩება კლასიკოსთა ცისფერ ნირვანაში ჩასაძირავად. შორსაა შენგან ის ფუფუნება, რასაც მამაპაპეულ ბუხართან ჩამყუდროვებული ბაბუაშენი განიცდიდა წიგნით ან ჟურნალ-გაზეთით ხელში.

ტექნიციზმით გაღარიბებული სულის გადასარჩენად ლიბერალიზმი და გლობალიზაცია[10] მოიგონეს, მაგრამ არც ამან უშველა საქმეს. გულუბრყვილო პოლიტიკოსებს ეგონათ, რომ ათასწლეულების განმავლობაში ჩაკირული კონსერვატიზმის მეტამორფოზა ერთი ხელის დაკვრით შეიძლებოდა, მაგრამ მოტყუვდნენ.

მარცხი განიცადა აშშ-ს მიერ მსოფლიოსათვის თავსმოხვეულმა დემოკრატიული გარდაქმნის თეორიამ. თითქმის უმოქმედო, მკვდარ უწყებებად იქცნენ გაერო[11] და ევროკავშირი.[12] ბრექსითმა[13] ანუ ინგლისის ევროკავშირიდან გასვლამ ამ ერთ დროს სახელოვანი უწყების

BRAMS 2025 Aug
Volume 6, Issue 14
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დაშლის დასაწყისი გვამცნო. მსოფლიო პროცესებზე[14] ვერავითარ გვლენას ვერ ახდენს ნატო,[15] ხოლო გაერო თავისი მკვდრადშობილი დადგენილებებით ლამის კურიოზების თემად იქცეს. თანამედროვე მსოფლიოს არავითარი ძალა არ აღმოაჩნდა პუტინის რუსეთის მტაცებლური მადის ასალაგმავად.

ათწლეულების განმავლობაში ამერიკამ მილიარდები ჩაყარა ავღანეთში დემოკრატიის დასანერგად,[16] მაგრამ თალიბანმა ერთ დღეში დაანგრია ამერიკული დემოკრატიის ხუხულა. ამაო გამოდგა ბაიდენის მცდელობა ავღანეთში სამოქალაქო ომი გაეჩაღებინა.

„დემოკრატიული მარშის“ დასაწყისში ამერიკამ აზიელი დიქტატორები (მაგალითად, სადამ ჰუსეინი, მუამარ კადაფი)[17] მოაშთო, მაგრამ მათ ადგილზე სხვა დიქტატორები მოვიდნენ.

ამერიკის სამაგალითო დემოკრატიის „ზეიმი“ იყო პრეზიდენტ ტრამპის არჩევნებში დამარცხების შემდეგ მისი მომხრეების შეტევა კაპიტოლიუმზე.[18] ეს რაღაცით ჰგავდა მიხეილ სააკაშვილისა და მისი ბრბოს შეტევას თბილისში, პარლამენტის შენობაზე 2003 წლის ნოემბერში.[19] მაშინ უცხოეთის მხარადაჭერით მოძალადეებმა მიზანს მიაღწიეს. ახლა კი ჯო ბაიდენმა ეს „დემოკრატიული თავდასხმა“ უკანონოდ გამოაცხდა. შედეგად, დემოკრატიულმა ამერიკამ შტურმის მონაწილე ექვის ადამიანი დახვრიტა და 260 დააპატიმრა. ასეთია ორმაგი სტანდარტი წამყვან დემოკრატიულ ქვეყანაში.

ყოველივე ზემოთქმული იმას დასტურია, რომ, თურმე, არ გამოდგება შეერთებული შტატები იმ კამერტონად, მსოფლიო ქვეყნების უმეტესობამ რომ ფეხი უნდა აუწყოს და მასზე სწორება აიღოს. არის თუ არა აშშ-ში დემოკრატიული პრინციპების კრახი[20] იმის ერთი საბუთი, რომ თანამედროვე მოქალაქეს მყარი იდეოლოგიური პრინცი-

BRAMS 2025 Aug
Volume 6, Issue 14
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

პები აღარ გააჩნია, ხოლო აქედან სულ ერთი ნაბიჯია სასოწარკვეთამდე, მაღალ მატერიებზე უარის თქმამდე, კულტურის სიმშვენიერეთა მიმართ რწმენის დაკარგვამდე.

კულტურული დევალვაციის ერთ-ერთ მიზეზად ევროპაში ჟანრის კრიზისი გამოაცხადეს. მიიჩნიეს, რომ ადამიანებს პრაქტიციზმმა ისე დარია ხელი, დრო აღარ რჩებათ დიდი რომანების საკითხავად. რეკომენდაციას უწევენ მკითხველს, ლიტერატურის ექსპერტები ეკითხათ: ჩეხოვი, ო'ჰენრი, კაიროში, შალომ ალეიხემი, ილფი და პეტროვი, ბულგაკოვი, ზოშჩენკო, უილიამ საროიანი და ა.შ. მაგრამ სწორედ ჟანრის კრიზისის ჟამს დაიწერა[21] ბრწყინვალე რომანები: „წყნარი დონი", „სამი მეგობარი", „მთვარის მოტაცება", „ჯაყოს ხიზნები" და ა.შ.

XX საუკუნის ბოლოს ჩხირკედელა ლიტერატურათმცოდნეთა ჯგუფმა „აღმოაჩინა", რომ თანამედროვეობის შესაფერი ე.წ. მოდური ლიტერატურული მიმდინარეობა სწორედ რომ „პოსტმოდერნიზმი"[22] იყო, მაგრამ ამ „თეორიამაც", ისე, როგორც თვით „პოსტმოდერნიზმმა", კრახი განიცადა.

დაბნეულმა და ურთიერთგამომრიცხავი ფილოსოფიური „იზმებით" შეწუხებულმა მოქალაქემ რელიგიას მიმართა. ეს პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მიზეზთა გამო დაკარგული მრევლი ეკლესიამ კვლავ დაიბრუნა, მაგრამ ადამიანთა უმეტესობამ ვერც იქ ჰპოვა სულიერი სიმშვიდე. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის დროს, ფანატიკოსებმა ნიუ-იორკში ორი 110-სართულიანი შენობა მიწასთან რომ გაასწორეს,[23] საკმარისზე მეტი ლახვარი იყო მცირედმორწმუნეთათვის. ორი მსოფლიო რელიგიის ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ურთიერთკვეთებას შედეგად ის მოჰყვა, რომ მთელ მსოფლიოში მლოცველთა რიცხვი შემცირდა.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დაბოლოს, XXI საუკუნის ადამიანის სულიერ დეგრადაციას პანდემიამ დაუსვა წერტილი. კოვიდ-19-მა მსოფლიო გარდაქმნა.[24] სიკვდილს მივეჩვიეთ; დილით ისე ვიღვიძებდით, თითქოს, უკნასკნელ განთიადს ვხვდებოდით.

ეპიდემიების მეტი რა იცის მსოფლიომ: „ისპანკამ“ და „ქათმის გრიპმა“ დედამიწა მოითარეშეს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ უკვალოდ წავიდნენ. კოვიდ-19 უკვე გუშინდელი დღეა. ორ წელზე მეტ ხანს მძვინვარებდა და... უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დატოვა.[25]

დავიღალეთ ახალი შტამის მოლოდინში. შეჩერდა კულტურული და სპორტული ღონისძიებები. მივეჩვიეთ ადამიანთა ამოცნობას ოდენ თვალების ჭრილით. პირბადე გახდა ჩვენი განუყრელი ატრიბუტი. მთელი ქვეყანა (და, არა მხოლოდ) უზარმაზარ საველე ლაზარეთად გადაიქცა. ტრანსპარანტებზე ერთადერთი სიტყვა ეწერა: „აიცერით!“ ახლა ისიც გასარკვევია, აცრა ჯობდა თუ აუცრელობა...

ადამიანის არსებობაზე თავსდამტყდარ ამ მრისხანე ოკეანეში, ერთ-ერთი მაშველი რგოლის როლს უთუოდ შეასრულებს მეცნიერება, რომელსაც კულტუროლოგია ქვია. იგი სკრუპულოზურად კრებს მსოფლიო კულტურის მიღწევებს და კონსპექტურად მიაწვდის თანამედროვე დაბნეულ, გეზარეულ მოქალაქეს მის არსებაში კეთილი საწყისების გადასარჩენად.

იმედს ვიტოვებ, რომ კვლავ შევხვდებით, ძვირფასო მკითხველო, საველე ლაზარეთში კი არა, მაყურებლით სავსე სტადიონებზე, საკონცერტო დარბაზებში, ახალი წიგნის, სპექტაკლისა თუ ფილმის პრეზენტციაზე.

ასეთია ცხოვრების ლოგიკა.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლიტერატურა ▫ References

1. როლანი რომენ (1973). კოლა ბრონიონი; ბეთჰოვენის ცხოვრება; მიქელანჯელოს ცხოვრება. მთარგმნელები: ნესტან იორდანიშვილი, გიორგი გეგელია. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
2. ტაბიძე გალაკტიონ (1973). რჩეული. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, გვ. 162 („სახლი ტყის პირად“).
3. ბრაფომანია (ბერძ. grapho „ვწერ“ + mania „მისწრაფება; სიგიჟე“) – ავადმყოფური მისწრაფება წერისადმი, მთხზველობისადმი. // ბრაფომანი – გრაფომანიით შეპყრობილი ადამიანი [იხ.: ჭაბაშვილი მიხეილ (1989). უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი: „განათლება“, გვ. 63-68].
4. ამირანი, კავეა სითი მოლი საბურთალო, კავეა გალერია, კავეა ისთ ფოინთი, კავეა თბილისი მოლი, კავეა გრანდ მოლი ბათუმი, ივერია ხაშური [იხ.: tkt.ge & ticket.ge].
5. History of the Writers' House of Georgia. https://writershouse.ge/index.php?m=135&lng=eng
6. ჩიქობავა აკაკი (2015). ფეოდალიზმი და ქართული ეთნოკულტურა VIII-X საუკუნეებში. თბილისი: „მერიდიანი“.
7. დუნდუა თედო, ფიფია ნათია (2009). საქართველო და გარესამყარო – ევროპის „შექმნა“ და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. თბილისი: „მერიდიანი“.
8. დაუშვილი ალექსანდრე (2024). მსოფლიო ომი და ქართული საზოგადოებრიობა. თბილისი: „მწიგნობარი“.
9. Nadare, Maia (2025 February). Disinformation in the Digital Media. *BRAMS*, 6(12), 101-135.
10. გაფრინდაშვილი ქეთევან (2021). კულტურის გლობალიზაცია. თბილისი. ISBN: 978-9941-8-3558-2
11. United Nations. https://www.un.org/en/
12. European Union. https://european-union.europa.eu/index_en
13. Wallenfeldt, Jeff (2022, Sep 15). Brexit. *Encyclopedia Britannica*. https://www.britannica.com/topic/Brexit

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

14. ქავთარაძე ელგუჯა (2005). პოლიტოლოგია. თბილისი: თსუ-ის სოხუმის ფილიალი.
15. North Atlantic Treaty Organization (NATO). https://www.nato.int/en
16. De Graff, Dachi (2021 May). George XI of Kartli and His Military Mission in Afghanistan. *BRAMS*, 2(4), 66-97.
17. Nadare, Maia (2008). *Breaking the Fourth Wall*. Tbilisi: Publishing House Universal.
18. ალადაშვილი ირაკლი (11 იანვარი, 2021). კაპიტოლიუმზე იერიში სახელმწიფო გადატრიალების მდელობად თუ შეფასდა, მაშინ ქართულ პარლამენტზე შეტევა რა იყო? „კვირის პალიტრა“. https://kvirispalitra.ge/article/72992-kapitoliumze-ierishi-sakhelmtsifo-gadatrialebis-mcdelobad-thu-shefasda-mashin-qarthul-parlamentze-sheteva-ra-iyo/
19. პარლამენტში შეჭრა / Invasion of the Parliament (2019, December 4). The Eduard Shevardnadze Center. https://www.youtube.com/watch?v=oAwNUPXX-MA
20. Corley, Jason (2025, December 5). From Crisis to Collapse: The Legacy of Joe Biden's Presidency. *Quantus Insights*.
21. ბრეგაძე ლევან (2020). პოსტმოდერნიზმი ქართულ მწერლობაში. თბილისი: „არტანუჯი“.
22. მეტრეველი საბა (2018). ანა კალანდაძე და პოლიტიკური პოსტმოდერნიზმი. თბილისი: „მწიგნობარი“ / Metreveli Saba (2018). Anna Kalandadze and Political Postmodernism. Tbilisi: Publishing House Mtsignobari (In Georgian). https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/335714/1/AnaKalandadzeDaPolitikuriPostmodernizmi.pdf
23. Goldberger, Paul (2004). *Up from Zero: Politics, Architecture, and the Rebuilding of New York*. New York, NY: Random House.
24. Schwab, Klaus, and Thierry Malleret (2020). *COVID-19: The Great Reset*. World Economic Forum.
25. Ardis, Bryan (2024). *Moving Beyond the COVID-19 Lies: Restoring Health & Hope for Humanity*. Harvest Creek Publishing.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)